ქვეპროგრამის დასახელება	საკადასტრო რუქის დამზადება
პროგრამული კოდი	02 04 02
ფუნქციონალური კოდი	749
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ეკონომიკის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების აღრიცხა–შეფასების და პრივატიზაციის მიზნით საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება.

ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების აღრიცხა–შეფასების და პრივატიზაციის მიზნით საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება.
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მე-9,11 მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: რეგიტრირებული მუნიციპალური ქონების რაოდენობა

ქვეპროგრამის დასახელება	შადრევნების ექსპლოატაცია
პროგრამული კოდი	02 04 03
ფუნქციონალური კოდი	749
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა.(ა).პ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება“
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შადრევნების ექსპლოატაციისთვის საჭირო მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება
ქვეპროგრამის მიზანი	შადრევნების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მე-8,9,11 მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: გამართული შადრევნები

ქვეპროგრამის დასახელება	ტრანსპორტით უზრუნველყოფა
პროგრამული კოდი	02 04 04
ფუნქციონალური კოდი	7109
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფლები ზეგანი და საკრაულა მუნიციპალური ცენტრიდან დაშორებულია 21 კილომეტრით. სოფლების მოსახლეობა მუნიციპალურ ცენტრთან დასაკავშირებლად სარგებლობს კომერციული სამარშრუტო ტაქსით, რომელიც კვირაში მოძრაობს 3 დღე. მოსახლეობამ მერიას მომართა ერთობლივი წერილით და ითხოვა დახმარება, რომ მუნიციპალიტეტმა უშუამდგომლოს აღნიშნულ შპს-სთან რეისების რაოდენობის გაზრდისთვის.მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტი დამატებითი დააფინანსებს შპს-სთან სუბსიდირების ხელშეკრულების ფარგლებში თვიურად 200 ლიტრი დიზელის საწვავის ღირებულების ფარგლებში, რომ მოხდეს რეისების გაზრდა კვირაში 3-დღიდან 6 -დღემდე.ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სახელმწიფო ფონდებიდან განკარგულებით გამოყოფილი თანხით ავტობუსების შესყიდვა.
ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია საქალაქო ტრანსპორტის შეუფერხებლად მუშაობა, მოსახლეობის მუნიციპალურ ცენტრთან წვდომის გამარტივება.
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	1, მე- 3 მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: უზრუნველყოფილია გაზრდილი რეისების რაოდენობა და მოსახლეობის შეუფერხებლად ტრანსპორტირება.

პროგრამის დასახელება	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები
პროგრამული კოდი	02 05
ფუნქციონალური კოდი	749
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური
პროგრამის აღწერა	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები ფინანსდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით, რომელიც სპეციალური ფორმულით ნაწილდება მუნიციპალიტეტში არსებულ სოფლებზე. შესასრულებელი პროექტების განსაზღვრა ხდება სოფლის კრებების შესაბამისად და ხორციელდება მერიის და მოსახლეობის მიერ.
პროგრამის მიზანი	სოფლის კრების ოქმით განსაზღვრული პროექტების შესრულება.სოფლების საჭიროებების დაკმაოფილება.
პროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-9,11 მიზანი
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: განკარგულებით გამოყოფილი თანხის მაქსიმალურად ათვისება.

პროგრამის დასახელება	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა
პროგრამული კოდი	02 06
ფუნქციონალური კოდი	749
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური,
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში მოხდება შენობა-ნაგებობების, ნაპირსამაგრი ჯებირების და საყრდენი კედლების, შიდასაუბნო და შიდასასოფლო გზების და სხვა ობიექტების მშენებლობისა და შეკეთების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო–სამონტაჟო და აღდგენა–რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად აუცილებელია შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა ტექნიკური პირობების მოთხოვნები, მათ შორის კლიმატგონივრული მიდგომები. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო–საძიებო სამუშაოების ჩატარებას, პროექტების ექსპერტიზას და მშენებლობისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას.საინჟინრო ნაგებობების პროექტირება გზების კაპიტალური მშენებლობის საპროექტო მომსახურება ავარიული სახლების პროექტირება სანიაღვრე სისტემების პროექტირება საექსპერტო მომსახურების შესყიდვა
პროგრამის მიზანი	საჭირო ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად კანონმდებლობით მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა,სამუშაოების უზრუნველყოფა საპროექტო დოკუმენტაციით.
პროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-9,11 მიზანი
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: მშენებლობის განხორციელება სრულყოფილი პროექტების საფუძველზე, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით. პროექტების საფუძველზე მაღალხარისხიანად შესრულებული სამშენებლო სამუშაოები.

პროგრამის დასახელება	მშენებლობა-რეაბილიტაცია
პროგრამული კოდი	02 07
ფუნქციონალური კოდი	7443
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური,
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული და ახალი ობიექტების მშენებლობა და რეაბილიტაცია კლიმატგონივრული მიდგომების გათვალისწინებით, როგორებიცაა: არასაცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობები, საყრდენი კედლები და ნაპირსამაგრი ნაგებობები, სხვადასხვა დანიშნულების მქონე ობიექტები მშენებლობა, მოწყობა, შეკეთება
პროგრამის მიზანი	არსებული შენობა-ნაგებობების შეკეთება/რემონტი და სხვადასხვა დანიშნულების ახალი ობიექტების მშენებლობა
პროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-8,9,11 მიზანი
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: ახალი და რეაბილიტირებული ობიექტები

ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია
პროგრამული კოდი	02 07 01
ფუნქციონალური კოდი	7443
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური,
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების (კომუნიკაციები, საყრდენი კედლები, ხიდები და გვირაბები) მოწესრიგება.მუნიციპალიტეტში არის მეწყერსაშიში ფერდობები და უბნები, დაზიანებული ნაგებობები, ამორტიზებული საინჟინრო კომუნიკაციები. დაგეგმილია საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, აღდგენა – რეკონსტრუქცია და გაუმჯობესება,მათ შორის შენობების ენერგოეფექტური განახლება. მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება . ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გაჯანსაღება; სტიქიური მოვლენებისაგან დაცული ქალაქის ქუჩები;. საინჟინრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მოსახლეობისათვის სრულყოფილი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნა; საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელების გამიჯვნით ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება; ამორტიზირებული და დაზიანებული საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების მინიმუმამდე დაყვანა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების ადაპტაცია დეფიციტური სერვისების მიწოდების მიზნით (ღვინის ლაბორატორიის სივრცის მოწყობა). ახალი ობიექტების მშენებლობა

	ენერგო ეფექტური მიდგომების გათვალისწინებით, გარემო პირობების გაუმჯობესება.რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას.
ქვეპროგრამის მიზანი	გამართულად ფუნქციონირებადი შენობა-ნაგებობები
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მე-8,9,11 მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: გამართულად ფუნქციონირებადი შენობა-ნაგებობები აღდგენილი და ახლად აშენებული ინფრასტრუქტურის ობიექტები.

ქვეპროგრამის დასახელება	საყრდენი კედლების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა, მოწყობა, რეაბილიტაცია
პროგრამული კოდი	02 07 02
ფუნქციონალური კოდი	7443
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გზების გამაგრებითი სამუშაოები საყრდენი კედლების მოწყობის გზით და მდინარეების ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა, რეაბილიტაცია, მოწყობა.
ქვეპროგრამის მიზანი	გზების გვერდულების გამაგრებითი სამუშაოების წარმოება, ნაპირსამაგრი ნაგებობების/ჯებირების მოწყობა-რეაბილიტაცია სტიქიის ლიკვიდაცია.
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მე-8,9,11 მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: მოწყობილი და რეაბილიტირებული გზის გვერდულები და ნაპირსამაგრები.

ქვეპროგრამის დასახელება	სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი
პროგრამული კოდი	02 07 03

ფუნქციონალური კოდი	7109
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა განკუთვნილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურილი ობიექტების აღსადგენად და/ან მოსახლეობის დასახმარებლად, როგორებიცაა: წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი და ა.შ. ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ძირითად ცენტრალური ბიუჯეტიდან სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისთვის გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი,ასევე საკუთარი სახსრები.
ქვეპროგრამის მიზანი	სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	1, მე- 3, 11 მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: უზრუნველყოფილია დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური მხარდაჭერა

პროგრამის დასახელება	მაღალმთიანი დასახლებების განვითარების პროგრამა
პროგრამული კოდი	02 08
ფუნქციონალური კოდი	749
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური
პროგრამის აღწერა	მაღალმთიანი დასახლებების განვითარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები ფინანსდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით. ნაწილდება მუნიციპალიტეტში არსებულ მაღალმთიანი სტატუსის მქონე დასახლებაზე. შესასრულებელი პროექტების განსაზღვრა და განხორციელება ხდება მერიის და მოსახლეობის მიერ.
პროგრამის მიზანი	მაღალმთიანი დასახლების საჭიროებების დაკმაოფილება.
პროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-9,11 მიზანი
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: განკარგულებით გამოყოფილი თანხის მაქსიმალურად ათვისება.

	საზედამხედველო მომსახურების შესყიდვა

პროგრამული კოდი	02 09
ფუნქციონალური კოდი	749
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური,
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ტენდერით გამოვლენილი კომპანიის მიერ მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების ინსპექტირება-ექსპერტიზა.
პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია სტანდარტებთან შესაბამისი და ხარისხიანი სამუშაოების მიღების უზრუნველყოფა
პროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-8,9,11 მიზანი
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1 : ხარისხიანად შესრულებული სამუშაოები

პროგრამის დასახელება	,,სამოქალაქო ბიუჯეტის მხარდაჭერა“
პროგრამული კოდი	02 10
ფუნქციონალური კოდი	749
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური, ადმინისტრაციული სამსახური.
პროგრამის აღწერა	მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვაში ანუ მათ შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ, რაში დაიხარჯოს მუნიციპალური ან სხვა ბიუჯეტის ნაწილი.განსახორციელებელი ღონისძიებები ფინანსდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით. პროექტებს წარმოადგენენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობა. შესასრულებელი პროექტების განსაზღვრა ხდება მოსახლეობის ჩართულობით გამჭირვალე კენჭისყრის შედეგების შესაბამისად და ხორციელდება მერიის და მოსახლეობის მიერ.
პროგრამის მიზანი	მოსახლეობის მიერ კენჭისყრით განსაზღვრული პროექტების შესრულება. მოსახლეობის საჭიროებების დაკმაოფილება.
პროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-9,11 მიზანი
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: განკარგულებით გამოყოფილი თანხის მაქსიმალურად ათვისება.

3.პრიორიტეტი-დასუფთავება და გარემოს დაცვა (03 00)

პრიორიტეტის მოკლე აღწერა-მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება-გაუმჯობესების და ეპიდემიური დაავადებებისგან თავის დაცვის მიზნით პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება,სასყოფაცხოვრებო ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება,ტერიტორიის თოვლის საფარის გაწმენდა,მოყინვის საწინაღდეგო სამუშაოების განხორციელება.მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა.დამატებითი ურნების დადგმა,არსებული მწვანე საფარის მოვლა-შენარჩუნება და ზრდა,ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა,სკვერებში და ქალაქის ტერიტორიაზე ბალახის გათიბვა.

პროგრამული კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	2027 წლის გეგმა			2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
		სულ	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები			
03 00	დასუფთვება და გარემოს დაცვა	3235.0	1735.0	1500.0	3450.0	3795.0	4180.0
03 01	დასუთავება და ნარჩენების გატანა	2225.0	1725.0	1500.0	3440.0	3785.0	4170.0
03 01 01	ააიპ ბღდათის კეთილმოწყობის დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება	2225.0	1725.0	1500.0	3440.0	3785.0	4170.0
03 02	ქალაქის გამწვანება	10.0	10.0	0.0	10.0	10.0	10.0

	დასუფთავება და ნარჩენების გატანა
პროგრამული კოდი	03 01
ფუნქციონალური კოდი	751
პროგრამის განმახორციელებელი	ა.(ა).ი.პ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება
პროგრამის აღწერა	ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ქუჩების დაგვა- დასუფთავება, შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვება და გატანა, თოვლცვენის დროს გზებისა და მოედნების გაწმენდისა და ტექნიკური მარილის მოყრის სამუშაოების ორგანიზება; შეგროვებული ნარჩენების ნაგავსაყრელზე გატანა. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების ადმინისტრაციულ ხარჯებს და პერსონალის ხელფასებს. დამატებითი ურნებისა დადგმა
პროგრამის მიზანი	სანიტარული წესრიგის შენარჩუნება, ეპიდემიური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება, ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენებისაგან გაწმენდა, ქალაქში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა
პროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-6,15 მიზანი

პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: სუფთა ქუჩები.შენარჩუნებულია სანიტარული წესრიგი

პროგრამის დასახელება	ქალაქის გამწვანება
პროგრამული კოდი	03 02
ფუნქციონალური კოდი	754
პროგრამის განმახორციელებელი	ა.(ა).ი.პ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება“
პროგრამის აღწერა	ქალაქის იერსახის მოწესრიგებისა და ეკოლოგიაზე ზრუნვის ფარგლებში განხორციელდება არსებული მწვანე საფარის მოვლა-შენარჩუნება და ზრდა, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში და ქალაქის ტერიტორიაზე ბალახის გათიბვა, ხეების შეთეთრება და მოჭრა-გადაბელვა.პროგრამის განხორციელებით საგრძნობლად უმჯობესდება მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობა, იერსახე და მოსახლეობის დასვენების პირობები. მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს მუნიციპალიტეტის მწვანე საფარი, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილების ნეგატიური ზეგავლენის შერბილებას და მოსახლეობის ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას. ფერდობების აღდგენის ღონისძიებები ხელს შეუწყობს უხვი ნალექით წარმოქმნილი ნატანის შეკავებას და ბუნებრივი საფრთხეების ნეგატიური ზეგავლენის შერბილებას.
პროგრამის მიზანი	პროგრამის განხორციელების მიზანს და შედეგს წარმოადგენს ქალაქის იერსახი შენარჩუნება-გაუმჯობესება და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების მოწესრიგება
პროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-6,9,11,15 მიზანი
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: მეტი ეკოლოგიურად სუფთა და გამწვანებული გარემო

4.პრიორიტეტი-განათლება (04 00)

პრიორიტეტის მოკლე აღწერა- პრიორიტეტი განათლება ხორციელდება სამი მიმართულებით:

- სკოლამდელი განათლება;

- სკოლის გარეშე განათლება;

- საკოლო განათლების ხელშეწყობა.

სკოლამდელი განათლების მიზანია აღსაზრდელების სკოლისათვის მომზადება,ინკლუზიური სკოლამდელი აღზღდის და განათლების მიწოდება.ამ მიზნით მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას,უსაფრთხო

სასწავლო გარემოს შქმნას,შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას,თანამედროვე სასწავლო სტანდარტის დანერგვას და განხორციელებას.

სკოლის გარეშე განათლების მიწოდება ხდება მუნიციპალიტეტში არსებული შემდეგი დაწესებულებების მეშვეობით:

- მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლი.
- ,,სალოტბარო სკოლა“

სადაც განხორციელდება სხვადასხვა სახის აქტივობები,დაიწყება ამ კუთხით მიზანმიმართული ღონისძიებების პრაქტიკის დანერგვა,მოსწავლეტა აქტიური ჩართვა მიმდინარე სასწავლო-სააღმზრდელო და კულტურულ პროცესებში,მათი ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირება.

სასკოლო განათლების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება ბაღდათის მუნიციპალიტეტში დაიწყო 2019 წელს, მთავრობის განკარგულების შესაბამისად დელიგირებული უფლებამოსილების ფარგლებში. მიმდინარე წელს ჩატარდება რამდენიმე საჯარო სკოლის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და განხორციელდება მოსწავლეტა ტრანსპორტირება.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება სასწავლო დაწესებულებების განვითარების ხელშეწყობა,რაც გულისხმობს: სკოლადელი და სკოლის გარეშე აღზრდის სფეროში მოქმედი სტანდარტების შესაბამის სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დანერგვას და განხორციელებას,კვებითი უზრუნველოფას,ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და განვითარებას,თანამშრომელთათვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნას და სხვა.

პროგრამული კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	2027 წლის გეგმა			2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
		სულ	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები			
04 00	განათლება	3970.0	2470.0	1500.0	4360.0	4790.0	5265.0
04 01	სკოლამდელი აღზრდა	3500.0	2000.0	1500.0	3845.0	4225.0	4645.0
04 01 02	ა(ა)იპ ,,ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღრზდის და განათლების დაწესებულებათა გაერთიანება“	3500.0	2000.0	1500.0	3845.0	4225.0	4645.0
04 02	სასკოლო და სკოლის გარეშე განათლების ხელშეწყობის პროგრამა	470.0	470.0	0.0	515.0	565.0	620.0
04 02 01	სასკოლო განათლების ხელშეწყობა	10.0	10.0	0.0	10.0	10.0	10.0
04 02 02	ა(ა)იპ ,,ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“	460.0	460.0	0.0	505.0	555.0	610.0

პროგრამის დასახელება	სკოლამდელი აღზრდა
პროგრამული კოდი	04 01
ფუნქციონალური კოდი	791
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღრზდის და განათლების დაწესებულებათა გაერთიანება, ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური. განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური

პროგრამის აღწერა	ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური წლის განმავლობაში დაქვემდებარებულ ა.(ა).ი.პ-თან ერთად ახორციელებს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობა, უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავებული თანამედროვე სასწავლო სტანდარტის დანერგვა ასევე ამ სტანდარტის შეაბამისად სასწავლო სააღმზდელო დაწესებულებების ინფრასტუქტურის მოწყობა და შეასაბამისი კვებითი უზრუნველყოფა, პროგრამის ფარგლებში ა.(ა).ი.პ-ში შემავალ დაწესებულებებთან ერთად მოხდება სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუჯობესების ხელშეწყობა, ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება, ხელმისაწვდომობის გაზრდა და ეფექტური მართვის სისტემის ჩამოყალიბება.სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ფარგლებში ბავშვებისათვის იმ აუცილებელი ცოდნისა და ქცევის ნორმების შეძენა, რაც უზრუნველყოფს მის მზადყოფნას სკოლაში წასვლისა და ყოველდღიური ცხოვრებისათვის. გაერთიანებისა და ოჯახის ურთიერთობის ოპტიმალური ფორმების დანერგვა და პარტნიორული ურთიერთობის დამყარება.ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა.აღსაზრდელის გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციური განვითარებაზე ზრუნვა. აღსაზრდელთათვის საზოგადოებაში ადაპტაციისათვის საჭირო უნარ - ჩვევების შეძენა.აღსაზრდელთა ასაკისა და ინდივიდუალური შესაძლებლობის შესაბამისად ცოდნით უზრუნველყოფა.განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოზარდების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენისათვის ხელშეწყობა.მასობრივი ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზება და მონაწილეობის მიღება.
პროგრამის მიზანი	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სრულფასოვანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.აღმზრდელების დატრენინგება და კვალიფიკაციის ამაღლება

პროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-4 მიზანი
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: ხელმისაწვდომი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები და ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემო.უზრუნველყოფილია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდება

პროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღრზდის და განათლების დაწესებულებათა გაერთიანება
პროგრამული კოდი	04 01 01
ფუნქციონალური კოდი	791
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღრზდის და განათლების დაწესებულებათა გაერთიანება,
პროგრამის აღწერა	ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური წლის განმავლობაში დაქვემდებარებულ ა.(ა).ი.პ-თან ერთად ახორციელებს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობა, უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავებული თანამედროვე სასწავლო სტანდარტის დანერგვა ასევე ამ სტანდარტის შეაბამისად სასწავლო სააღმზდელო დაწესებულებების ინფრასტუქტურის მოწყობა და შეასაბამისი კვებითი უზრუნველყოფა, პროგრამის ფარგლებში ა.(ა).ი.პ-ში შემავალ დაწესებულებებთან ერთად მოხდება სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუჯობესების ხელშეწყობა, ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება, ხელმისაწვდომობის გაზრდა და ეფექტური მართვის სისტემის ჩამოყალიბება.სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ფარგლებში ბავშვებისათვის იმ აუცილებელი ცოდნისა და ქცევის ნორმების შეძენა, რაც უზრუნველყოფს მის მზადყოფნას სკოლაში წასვლისა და ყოველდღიური ცხოვრებისათვის. გაერთიანებისა და ოჯახის ურთიერთობის ოპტიმალური ფორმების დანერგვა და პარტნიორული ურთიერთობის დამყარება.ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა.აღსაზრდელის

	გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციური განვითარებაზე ზრუნვა. აღსაზრდელთათვის საზოგადოებაში ადაპტაციისათვის საჭირო უნარ - ჩვევების შეძენა.აღსაზრდელთა ასაკისა და ინდივიდუალური შესაძლებლობის შესაბამისად ცოდნით უზრუნველყოფა.განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოზარდების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენისათვის ხელშეწყობა.მასობრივი ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზება და მონაწილეობის მიღება.
პროგრამის მიზანი	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სრულფასოვანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.აღმზრდელების დატრენინგება და კვალიფიკაციის ამაღლება
პროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-4 მიზანი
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: ხელმისაწვდომი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები და ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემო.უზრუნველყოფილია

	სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდება

პროგრამის დასახელება	სასკოლო და სკოლის გარეშე განათლების ხელშეწყობის პროგრამა
პროგრამული კოდი	04 02
ფუნქციონალური კოდი	7923
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური, ადმინისტრაციული სამსახური. ა(ა)იპ„ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი“ განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური
პროგრამის აღწერა	პროგრამა გულისხმობს საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შეყიდვის და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობის განკარგულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას. საგანმანათლებლო პროექტებში წარმატებული მოსწავლეები და მასწავლებლები დაჯილდოვდებიან ფულადი და ფასიანი საჩუქრებით. ასევე მოხდება ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოება. აგრეთვე დახმარება გაეწევა საჯარო სკოლებს სხვადასხვა პროექტის განხორციელების პროცესში. მოხდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მედალოსანი კურსდამთავრებულებისა და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მაღალქულიანი და სახელმწიფო გრანტის მქონე აბიტურიენტების დაჯილდოვება წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით ფასიანი საჩუქრებით და ფულადი ჯილდოთი. რაც შეეხება არაფორმალურ განათლებას, განხორციელდება სხვადასხვა სახის აქტივობები, დაიწყება ამ კუთხით მიზანმიმართული ღონისძიებების პრაქტიკის დანერგვა, მოსწავლეთა აქტიური ჩართვა მიმდინარე სასწავლო-სააღმზრდელო და კულტურულ პროცესებში. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სასწავლო დაწესებულებების განვითარების ხელშეწყობა. თანამშრომელთათვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნა. ეს დაწესებულებებია: - მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლი. - ,,სალოტბარო სკოლა“ მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლი არის მრავალპროფილიანი სასწავლო, კულტურულ, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს საგანმანათლებლო , აღმზრდელობით ზნეობრივ საქმიანობა, ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნებად ჩამოყალიბებას, ჰარმონიულ, ინტელექტუალურ , ფიზიკურ განვითარებას, შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების ფორმირებას.მათი შემოქმედებითი შესაძლებლობებისა და ინტერესის განვითარების მიზნით სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობის ფარგლებში შესაბამისი სასწავლო-შემოქმედებითი პროცესის და ღონისძიებების

	ორგანიზება.მოზარდთათვის გონებრივ, ფიზიკურ , ზნეობრივ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა, სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველი ბავშვების ხელშეწყობა, შშმ პირთათვის სხვადასხვა პროგრამების შემუშავება და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა.მოსწავლეთათვის თავისუფალი დროის ორგანიზება და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდის ხელშეწყობა,საზოგადოებაში ადაპტაციის უნარ-ჩვევების შეძენა.განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოზარდების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენისათვის ხელშეწყობა.მასობრივი ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზება და მონაწილეობის მიღება
პროგრამის მიზანი	საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფა და საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მოზარდთათვის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და სრულყოფისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. განათლების სფეროს წარმომადგენელთა წახალისება და მხარდაჭერა.
პროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-4 მიზანი
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: მოსწავლეთა შეუფერხებელი ტრანსპორტით უზრუნველყოფა და განახლებული სასკოლო ინფრასტრუქტურა. მოტივირებული მოსწავლეები და პედაგოგები მხარდჭერილია. გაზრდილია მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეთა რაოდენობა.

პროგრამის დასახელება	სასკოლო განათლების ხელშეწყობა
პროგრამული კოდი	04 02 01
ფუნქციონალური კოდი	7923
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური, ადმინისტრაციული სამსახური. ა(ა)იპ„ბაღდათის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა გულისხმობს საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შეყიდვის და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობის განკარგულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას.

	საგანმანათლებლო პროექტებში წარმატებული მოსწავლეები და მასწავლებლები დაჯილდოვდებიან ფულადი და ფასიანი საჩუქრებით. ასევე მოხდება ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოება. აგრეთვე დახმარება გაეწევა საჯარო სკოლებს სხვადასხვა პროექტის განხორციელების პროცესში. მოხდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მედალოსანი კურსდამთავრებულებისა და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მაღალქულიანი და სახელმწიფო გრანტის მქონე აბიტურიენტების დაჯილდოვება წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით ფასიანი საჩუქრებით და ფულადი ჯილდოთი.
პროგრამის მიზანი	საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფა და საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მოზარდთათვის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და სრულყოფისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. განათლების სფეროს წარმომადგენელთა წახალისება და მხარდაჭერა.
პროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-4 მიზანი
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: მოსწავლეთა შეუფერხებელი ტრანსპორტით უზრუნველყოფა და განახლებული სასკოლო ინფრასტრუქტურა. მოტივირებული მოსწავლეები და პედაგოგები.

პროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი
პროგრამული კოდი	04 02 02
ფუნქციონალური კოდი	7923
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ„ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი“
პროგრამის აღწერა	მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლი არის მრავალპროფილიანი სასწავლო, კულტურულ, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს საგანმანათლებლო , აღმზრდელობით ზნეობრივ საქმიანობა, ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნებად ჩამოყალიბებას, ჰარმონიულ, ინტელექტუალურ , ფიზიკურ განვითარებას, შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების ფორმირებას.მათი შემოქმედებითი შესაძლებლობებისა და ინტერესის განვითარების მიზნით სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობის ფარგლებში შესაბამისი სასწავლო-შემოქმედებითი პროცესის და ღონისძიებების ორგანიზება.მოზარდთათვის გონებრივ, ფიზიკურ , ზნეობრივ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა,

	სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველი ბავშვების ხელშეწყობა, შშმ პირთათვის სხვადასხვა პროგრამების შემუშავება და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა.მოსწავლეთათვის თავისუფალი დროის ორგანიზება და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდის ხელშეწყობა,საზოგადოებაში ადაპტაციის უნარ-ჩვევების შეძენა.განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოზარდების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენისათვის ხელშეწყობა.მასობრივი ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზება და მონაწილეობის მიღება
პროგრამის მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის გამართული ფუნქციონირება.
პროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-4 მიზანი
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: უზრუნველყოფილია მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ფუნქციონირება. გაზრდილია მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეთა რაოდენობა.

5.პრიორიტეტი-კულტურა,რელიგია,ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები. (05 00)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში აგრძელებს კულტურული, ახალგაზრდული, სპორტული ღონისძიებების და ეკლესიის ხელშეწყობას. პრიორიტეტი გულისხმობს კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს პოპულარიზაცია-განვითარებას, კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების ხელშეწყობას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას. კულტურულ, სახელოვნებო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომავალი თაობის შემეცნებით-საგანმანათლებლო დონის ამაღლებას, კულტურული ცხოვრების მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების შენარჩუნებას და პოპულარიზაციას, სპორტის განვითარების ხელშეწყობას და პოპულარიზაციას, სპორტული ღონისძიებების დაფინანსებას და მათ მრავალფეროვნებას. ამ მიზნით ფუნქციონირებს:

რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის ცენტრი, სადაც ფუნქციონირებს სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი, ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები, საბავშვო მუსიკალური თეატრი;

ჯანსუღ ღვინჯილიას სახელობის ცენტრალური და 6 სასოფლო ბიბლიოთეკა, ინოვაციების ცენტრი,ბაღდათის საინფორმაციო ცენტრი,სამოლაშქრო ტურიზმი ,, გაიცანი ბაღდათი“;

ვ.ვ. მაიაკოვსისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;

საფეხბურთო კლუბი „საირმე“;

სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრი.

სოფელ წითელხევის ,,კოტე ფოცხვერაშვილის სახ. ხელოვნების სკოლა“

,,ვალერიან ქაშაკაშვილის სახ. მუსიკალური სკოლა“

		2027 წლის გეგმა			

პროგრამული კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	სულ	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა,რელიგია,ახალგაზრდობა და სპორტი	4925.0	3911.2	1013.8	5390.0	5900.0	6460.0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1650.0	1650.0	0.0	1810.0	1985.0	2180.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	130.0	130.0	0.0	140.0	150.0	160.0
05 01 02	ააიპ.ბაღდათის სპორტის და მოზარდთა აქტივობის ცენტრი	1520,0	1520,.0	0.0	1670.0	1835.0	2020.0
05 01 03	ააიპ. საფეხბურთო კლუბი საირმე	0.0	0.0	0	0.0	0.0	0.0
05 01 04	ჭადრაკის განვითარების ხელშეწყობა	0	0	0	0	0	0
05 02	კულტურის განვითარების ხელშწყობა	3110.0	2096,2	1013,8	3415,0	3750,0	4115,0
05 02 01	ააიპ. ბაღდათის ხელოვნების და კულტურის განვითარების ცენტრი	2460,0	1446,2	1013,8	2705,0	2975,0	3270,0
05 02 02	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	70,0	70.0	0.0	70.0	70.0	70.0
05 02 03	ა(ა)იპ ,,ბაღდათის მუნიციპალიტეტის სამუსიკო და სახელოვნებო დაწესებულებათა გაერთიანება“	580.0	580.0	0.0	640.0	705.0	775.0
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფნანსება	65.0	65.0	0.0	65.0	65.0	65.0
05 03 01	ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	55.0	55.0	0.0	55.0	55.0	55.0
05 03 02	ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა	10.0	10.0	0.0	10.0	10.0	10.0
05 04	ეკლესიის ხელშეწყობის პროგრამა	100.0	100.0	0.0	100.0	100.0	100.0

პროგრამის დასახელება	სპორტის განვითარების ხელშეწყობა
პროგრამული კოდი	05 01
ფუნქციონალური კოდი	78
პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური და ა.(ა).ი.პ სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრი

პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა; წარმატებული და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება; სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; შეკრებებისა და საწვრთნელი პროცესის ორგანიზება; სახელობითი ტურნირების ჩატარება; შშმ პირებისათვის შესაბამისი სპორტული ინვენტარის შეძენა და შესაბამისი გარემოს შექმნა. ა.(ა).ი.პ სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრში ბაზირებული სპორტის 11 სახეობის (ფეხბურთი, კალათბურთი, რაგბი, თავ. ჭიდაობა, ბერძნულ რომაული ჭიდაობა, ჭადრაკი, აკრობატიკა, ფრნბურთი კუნგ-ფუ სანდა, კრივი, ბოჩა;) ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; ქალთა სპორტის ხელშეწყობა, ფიტნეს სექტორის განვითარება. საქართველოს ჩემპიონატის რეგიონ ლიგაში მონაწილე ფეხბურთის გუნდისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. სათანადო ეკიპირებითა და საჭირო საფეხბურთო ინვენტარით აღჭურვა, გასვლით მატჩებზე გუნდის ტრანსპორტითა და კვებით უზრუნველყოფა, პირველ ეტაპზე ფეხბურთელების მოგებული მატჩებისაათვის პრემირების სისტემის დანერგვა.
პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლენა. სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია და მასობრიობის ზრდა, ა.(ა).ი.პ. ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრის გამართული ფუნქციონირება, ეროვნულ ჩემპიონატებში, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებში წარმატებით მონაწილეობა.სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, როგორც ქალბატონების ასევე მამაკაცებისთვის; სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა;
პროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-3,4,5 მიზანი
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: გაზრდილია სპორტულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის მაჩვენებელი.სპორტის მნიშვნელობაზე მოსახლეობის ცნობიერება ამაღლებულია

ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება
პროგრამული კოდი	05 01 01
ფუნქციონალური კოდი	781

პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა; წარმატებული და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება და ხელშეწყობა; ღვაწლმოსილი და ვეტერანი სპორტის დამსახურებული სპორტსმენების დასაჩუქრება
ქვეპროგრამის მიზანი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლენა, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია და მასობრიობის ზრდა.
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მე-4 ,5 ,16 მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: სხვადასხვა ასაკის მოსახლეობაში, როგორც ქალბატონებში, ასევე მამაკაცებში ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ცნობიერების ამაღლება. მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და მოზარდების, მ.შ. როგორც გოგონების, ასევე ბიჭების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში;

ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრი
პროგრამული კოდი	05 01 02
ფუნქციონალური კოდი	781
პროგრამის განმახორციელებელი	ა.(ა).ი.პ სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრი

ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება. (ა).ი.პ სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრში ბაზირებული სპორტის 11 სახეობის (ფეხბურთი, კალათბურთი, რაგბი, თავ. ჭიდაობა, ბერძნულ რომაული ჭიდაობა, ჭადრაკი, აკრობატიკა, ფრნბურთი კუნგ-ფუ სანდა, კრივი, ბოჩა;) ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; ქალთა სპორტის ხელშეწყობა, ფიტნეს სექტორის განვითარება. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლენა, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია და მასობრიობის ზრდა. საქართველოს ჩემპიონატის რეგიონ ლიგაში მონაწილე ფეხბურთის გუნდისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. სათანადო ეკიპირებითა და საჭირო საფეხბურთო ინვენტარით აღჭურვა, გასვლით მატჩებზე გუნდის ტრანსპორტითა და კვებით უზრუნველყოფა, პირევლ ეტაპზე ფეხბურთელების მოგებული მატჩებისაათვის პრემირების სისტემის დანერგვა.
ქვეპროგრამის მიზანი	ა.(ა).ი.პ სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრის გამართული ფუნქციონირება.
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მე-4 ,5 ,16 მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: ა.(ა).ი.პ. ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრის ფუნქციონირება გამართულია,

ქვეპროგრამის დასახელება	ჭადრაკის განვითარების ხელშეწყობა
პროგრამული კოდი	05 01 04
ფუნქციონალური კოდი	781
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ა.(ა).ი.პ „საჭადრაკო კლუბი ბაღდათის“ დაფინანსება სუბსიდირების გზით. ა.(ა).ი.პ არ არის მუნიციპალიტეტის მიერ დაარსებული

ქვეპროგრამის მიზანი	ქვეპროგრამა მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტში ჭადრაკის განვითარების ხელშეწყობას. პირველ ეტაპზე გაცემული სუბსიდია მოხმარდება საჭადრაკო ტურნირებში მონაწილეობასთან დაკავშირებულ ხარჯებს
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მე-4 ,5,16 მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1 : გაზრდილია საჭადრაკო ტურნირებში მონაწილე ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა.

პროგრამის დასახელება	კულტურის განვითარების ხელშეწყობა
პროგრამული კოდი	05 02
ფუნქციონალური კოდი	782
პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური და ა.(ა).ი.პ „ ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“ა(ა)იპ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის ,,სამუსიკო და სახელოვნებო დაწესებულებათა გაერთიანება“
პროგრამის აღწერა	პროგრამა გულისხმობს კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს პოპულარიზაცია-განვითარებას, კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების ხელშეწყობას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას. კულტურულ, სახელოვნებო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომავალი თაობის შემეცნებით-საგანმანათლებლო დონის ამაღლებას, კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, მიმზიდველი და საინტერესო საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების შექმნას, სადაც მოსახლეობა იღებს განათლებას და ინფორმაციას, რაც ხელს უწყობს განათლებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. ინფრასტრუქტურის განვითარებას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების შენარჩუნების და პოპულარიზაციის მიზნით ფუნქციონირებს ა.(ა).ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი, რომელშიც თავის მხრივ გაერთიანებულია: 1. რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის ცენტრი, სადაც ფუნქციონირებს სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი, ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები. 2. ჯანსუღ ღვინჯილიას სახელობის ცენტრალური და 4 სასოფლო ბიბლიოთეკა. 3. ვ.ვ. მაიაკოვსისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

	ბაღდათის მუნიციპალიტეტის ,,სამუსიკო და სახელოვნებო დაწესებულებათა გაერთიანება“ არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მხოლოდ სამუსიკო-სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამებს დაწყებით და საბაზო საორიენტაციო საფეხურებზე. უზრუნველყოფს სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებას.ქართული ტრადიციული გალობის და ხალხური სიმღერის შენარჩუნება და ახალგაზრდებისათვის უფასოდ შესწავლას.მოსწავლეთა კონკურსებში, ფესტივალებში და ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფას. ზრუნვა მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე. გაერთიანება მოიცავს: 1. სოფელ წითელხევის ,,კოტე ფოცხვერაშვილის სახ. ხელოვნების სკოლას“ 2. ,,ვალერიან ქაშაკაშვილის სახ. მუსიკალური სკოლას“
პროგრამის მიზანი	ქართული კულტურის პოპულარიზაცია, ბიბლიოთეკების, მუზეუმების და თეატრისადმი მოსახლეობის დაინტერესებისა და ჩართულობის გაზრდა, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების ხელშეწყობა..მოსწავლეთათვის შესაბამისი დაწყებითი სამუსიკო-სახელოვნებო განათლების მიცემა.
პროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-4 ,5, 16 მიზანი
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობა.გაზრდილია სამუსიკო და სახელოვნებო დაწესებულებათა მოსწავლეთა რაოდენობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება
პროგრამული კოდი	05 02 02
ფუნქციონალური კოდი	782
ქვპროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების, ფესტივალებისა და საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზებას. კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების ხელშეწყობას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას,

	სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებზე შემოქმედებითი ჯგუფების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, საჩუქრების და ყვავილების თაიგულების შეძენას საერო, საეკლესიო და კულტურული ღონისძიებების აღსანიშნავად.
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება. ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული დანიშნულების ადგილად ქცევის ხელშეწყობა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის გზით. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და პოპულარიზაცია. კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა მათი მოტივაციის გაზრდა.
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მე-4 ,5, 16 მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: გაზრდილია შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობა.

პროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი
პროგრამული კოდი	05 02 01
ფუნქციონალური კოდი	782
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი

პროგრამის აღწერა	კულტურული ტრადიციების შენარჩუნების და პოპულარიზაციის მიზნით ფუნქციონირებს ა.(ა).ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი, რომელშიც თავის მხრივ გაერთიანებულია: 1. რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის ცენტრი, სადაც ფუნქციონირებს სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი, ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები. 2. ჯანსუღ ღვინჯილიას სახელობის ცენტრალური და 4 სასოფლო ბიბლიოთეკა.
პროგრამის მიზანი	ქართული კულტურის პოპულარიზაცია, ბიბლიოთეკების, მუზეუმების და თეატრისადმი მოსახლეობის დაინტერესებისა და ჩართულობის გაზრდა. ,,ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“-ს გამართული ფუნქციონირება.
პროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-4 ,5, 16 მიზანი
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1:. უზრუნველყოფილია,,ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“-ს გამართული ფუნქციონირება.

პროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სამუსიკო და სახელოვნებო დაწესებულებათა გაერთიანება
პროგრამული კოდი	05 02 03
ფუნქციონალური კოდი	782
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სამუსიკო და სახელოვნებო დაწესებულებათა გაერთიანება

პროგრამის აღწერა	ბაღდათის მუნიციპალიტეტის ,,სამუსიკო და სახელოვნებო დაწესებულებათა გაერთიანება“ არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მხოლოდ სამუსიკო-სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამებს დაწყებით და საბაზო საორიენტაციო საფეხურებზე. უზრუნველყოფს სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებას.ქართული ტრადიციული გალობის და ხალხური სიმღერის შენარჩუნება და ახალგაზრდებისათვის უფასოდ შესწავლას.მოსწავლეთა კონკურსებში, ფესტივალებში და ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფას. ზრუნვა მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე. გაერთიანება მოიცავს: 1. სოფელ წითელხევის ,,კოტე ფოცხვერაშვილის სახ. ხელოვნების სკოლას“ 2. ,,ვალერიან ქაშაკაშვილის სახ. მუსიკალური სკოლას“
პროგრამის მიზანი	შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების ხელშეწყობა..მოსწავლეთათვის შესაბამისი დაწყებითი სამუსიკო-სახელოვნებო განათლების მიცემა. ,,სამუსიკო და სახელოვნებო დაწესებულებათა გაერთიანება“-ის გამართული ფუნქციუნირება.
პროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-4 ,5, 16 მიზანი
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: გაზრდილია სამუსიკო და სახელოვნებო დაწესებულებათა მოსწავლეთა რაოდენობა. უზრუნველყოფილია ,,სამუსიკო და სახელოვნებო დაწესებულებათა გაერთიანება“-ის გამართული ფუნქციუნირება.

პროგრამის დასახელება	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება
პროგრამული კოდი	05 03
ფუნქციონალური კოდი	784
პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური
პროგრამის აღწერა	ახალგაზრდობა მუნიციპალიტეტის განსაკუთრებული საზრუნავია. მისი შემოქმედებითი და შრომითი პოტენციალის,ახალ სამყაროში თავისუფალი ხედვის, ინიციატივიანი და პასუხისმგებლობითი აქტიურობის უნარის ჩანერგვა,საკუთარ მისწრაფებათა რეალიზაციის ახალი სიმძლავრეების შექმნა პრიორიტეტული საკითხია. არსებულ ვითარებაში მუნიციპალიტეტის სტრატეგია გულისხმობს იმას, რომ ახალგაზრდობის განვითარებისათვის შეიქმნას მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობები. ახალგაზრდების ჩართულობა სხვადასხვა ტიპის აქტივობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია უპასუხოს ახალგაზრდობის გამოწვევებს, მოისმინოს ახალგაზრდების ხმა მათი ინიციატივების სახით და ხელი შეუწყოს ახალგაზრდული სამოქალაქო აქტივობის ზრდას.
პროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-4 ,5, 16 მიზანი
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1აქტიური და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტად ჩართული ახალგაზრდობა. გამოვლენილია საუკეთესო პროექტები.

პროგრამის დასახელება	ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება
პროგრამული კოდი	05 03 01
ფუნქციონალური კოდი	784
პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა გულისხმობს: 1) ახალგაზრდული პლატფორმების(საბჭო, ცენტრი, კლუბი) გაძლიერებას და ხელშეწყობას ახალგაზრდული სტრატეგიის მიხედვით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმის ეფექტურად განხორციელების მიზნით. 2) მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობას ტრენინგების ორგანიზების თვალსაზრისით, რაც უზრუნველყოფს მათ ჩართულობას მუნიციპალური პროგრამების შემუშავების პროცესში. 3) ახალგაზრდების ინფორმირებას მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო კონკურსების შესახებ და მათ კვალიფიციური მხარდაჭერას. 4) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დასაქმების ფორუმის ორგანიზებას. 5) რეკრეაციული, შემეცნებითი და კულტურული ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერას. (ლაშქრობები, ექსკურსიები, ინტელექტუალური თამაშები) 6) ახალგაზრდებისათვის პოტენციურად ხელმისაწვდომი შეკრების სივრცეებისა და მასში კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის უზრუნველყოფას. 7) ახალგაზრდული და მოხალისეობრივი მოძრაობის განვითარებას, რომელიც მიზნად ისახავს მოხალისეობრივი ინსტიტუტის პოპულარიზებასა და გაძლიერებას, მოსახლეობის ჩართვას სხვადასხვა მოხალისეობრივ აქტივობებში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს თითოეული ინდივიდის პიროვნულ ზრდას (ტრენინგების/სემინარების/სასწავლო სესიების/პრაქტიკული სავარჯიშოების და ა.შ. საშუალებით) სხვადასხვა მიმართულებით, რომელიც განხორციელდება საქართველოს წითელი ჯვარის საზოგადოების მხარდაჭერითა და ჩართულობით
პროგრამის მიზანი	ახალგაზრდული პროგრამების განხორციელება მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ახალგაზრდებს აქვთ თვითრეალიზაციის და თვითგამოხატვის შესაძლებლობა, იზიარებენ ურთიერთთანამშრომლობის და ტოლერანტობის პრინციპებს. უზრუნველყოფილია მათი მონაწილეობა ახალგაზრდული საქმიანობის კუთხით, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.
პროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-4 ,5, 16 მიზანი

პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1. გაზრდილია სხვადასხვა ღონისძიებებში ახალგაზრდობა ჩართულობა.

პროგრამის დასახელება	ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა
პროგრამული კოდი	05 03 02
ფუნქციონალური კოდი	784
პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური
პროგრამის აღწერა	ადგილობრივი თვითთმმართველობის განხორციელების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზედებს ჰქონდეთ შესაძლებლობა იმისა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე დააყენონ მათთვის საჭირო ინიციატივები.პროგრამის ფარგლებში ჩატარდება კონკურსი საუკეთესო ინიციატივების პროეტების გამოვლენა და მოხდება გამარჯვებული პროექტების დაფინანსება.
პროგრამის მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ბაღდათის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების უნარების და კომპეტენციების გაუმჯობესებას მათ შორის სამეწარმეო უნარების, მათ განვითარებას და კეთილდღეობას, რათა მოახდინონ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება და აქტიურად იყვნენ ჩართულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
პროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-4 ,5, 16 მიზანი
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: გამოვლენილია საუკეთესო ახალგაზრდული პროექტები.

პროგრამის დასახელება	ეკლესიის ხელშეწყობის პროგრამა
პროგრამული კოდი	05 04
ფუნქციონალური კოდი	784
პროგრამის განმახორციელებელი	განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა რომელიც ხორციელდება ბაღდათის მუნიციპალიტეტსა და ვანი-ბაღდათის ეპარქიას შორის გაფორმებული სუბსიდირების ხელშეკრულების ფარგლებში
პროგრამის მიზანი	ეკლესიის ფინანსური ხელშეწყობა
პროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-16 მიზანი
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: მეტი რეაბილიტირებული ეკლესიის ინფრასტრუქტურა.

6.პრიორიტეტი- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველოფა. (06 00)

ბაღდათის მუნიციპალიტეტის განაგრძობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას რა მიზნითაც პრიორიტეტით გათვალისწინებულია 24 პროგრამა. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

პროგრამული კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	2027 წლის გეგმა			2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
		სულ	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები			
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველოფა.	1583,0	1326,0	257,0	1586,0	1589,8	11586,0
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	205.0	0.0	205.0	205.0	205.0	205.0
06 01 01	ააიპ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	205.0	0.0	205.0	205.0	205.0	205.0
06 02	სოციალური პროგრამები	1368,0	1316,0	52,0	1371.0	1371.0	1371.0
06 02 01	სამედიცინო დახმარების ხარჯები	380,0	380,0	0.0	380.0	380.0	380.0
06 02 02	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები	2.0	0.0	2.0	2.0	2.0	2.0

06 02 03	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარების ხარჯები	4.0	4.0	0.0	4.0	4.0	4.0
06 02 04	უფასო სასადილოების დაფინანსება	80.0	80.0	0.0	80.0	80.0	80.0
06 02 05	ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა	20.0	20.0	0.0	20.0	20.0	20.0
06 02 06	მხედველობის დარღვევის მქონე შშმ პირების ფინანსური დახმარება.	2.0	2.0	0.0	2.0	2.0	2.0
06 02 07	თანადგომის საჭიროების მქონე ოჯახთა დახმარება	110.0	110.0	0.0	110.0	110.0	110.0
06 02 08	ვეტერანთა დახმარება	25.0	25.0	0.0	25.0	25.0	25.0
06 02 09	შშმ პირთა დახმარება	80.0	80.0	0.0	80.0	80.0	80.0
06 02 10	ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა დახმარება	3.0	3.0	0.0	3.0	3.0	3.0
06 02 11	დღეგრძელი (100 და მეტი წლის ასაკის) მოქალაქეთა დახმარება	5.0	5.0	0.0	5.0	5.0	5.0
06 02 12	დიალიზით მოსარგებლე მოქალაქეთა დახმარება	90.0	90.0	0.0	90.0	90.0	90.0
06 02 13	18 წლამდე ასაკის ობოლი ბავშვიანი ოჯახებისა და მარტოხელა მშობლების დახმარება.	40.0	40.0	0.0	40.0	40.0	40.0
06 02 14	სასკოლო ასაკის ბაღის აღსაზრდელთა პროფილაქტიკური გამოკვლევა.	7.0	7.0	0.0	10.0	10.0	10.0
06 02 15	მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება	25.0	25.0	0.0	25.0	25.0	25.0
06 02 16	უჭირისუფლო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები	5.0	5.0	0.0	5.0	5.0	5.0
06 02 17	მედიკამენტების დაფინანსება	90.0	90.0	0,0	90.0	90.0	90.0
06 02 18	აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა დიაგნოსტირების და რეაბილიტაციის პროგრამა	15.0	15.0	0.0	15.0	15.0	15.0
06 02 19	პერსონალური ასისტენტის მოსახურება.	0,0	0.0	0,0	0.0	0.0	0.0
06 02 20	საცხოვრებლით უზრუნველოფა	320.0	320.0	0.0	320.0	320.0	320.0
06 02 21	ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის თანადაფინანსება	15.0	15.0	0.0	15.0	15.0	15.0
06 02 22	ბავშვიანი ოჯახების გაძლიერება	50,0	0	50,0	50.0	50.0	50.0
06 03	ქალის და მამკაცის თანასწორობის ხელშწყობა	10.0	10.0	0.0	10,0	13,8	10,0

პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება
პროგრამული კოდი	06 01 01
ფუნქციონალური კოდი	774

პროგრამის განმახორციელებელი	ა.(ა).ი.პ „ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“

პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: • გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი. ინფექციურ დაავადებათა ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში მონაცემთა (72 დაავადება და მდგომარეობა) შეყვანა. • იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა სამედიცინო დაწესებულებებთან (პირველადი ჯანდაცვის (პჯდ)-ს და ჰოსპიტალურ სექტორთან ერთად, განხორციელების ლოგისტიკური ხელშეწყობა, პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის სახით; • იმუნიზაციის საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა - იმუნიზაციისა და მარაგების მართვის ელექტრონული მოდულის გამართული მუშაობის კოორდინაცია, იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობის დამხმარე ზედამხედველობა. • სამედიცინო სტატისტიკური მასალის მოპოვება და წარდგენა სსიპ. ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის (დკსჯდ) ეროვნულ ცენტრში დადგენილი წესით; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებულ ჯანდაცვის დაწესებულებებში (სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი ფიზიკური და იურიდიული პირები) დაავადებათა რეგისტრაცის, შეტყობინებინებების სისტემის ფუნქციონირების, ანგარიშგების მოწესრიგების ხელშეწყობა**,** მონიტორინგი, მონიტორინგის შედეგების შეფასება და მეთოდური დახმარების გაწევა კომპეტენციის ფარგლებში; • ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებში ასევე საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა. პრევენციული ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას (აღრიცხვა-რეგისტრაციას დაქვემდებარებული გადამდები დაავადებების გამოვლენა, მათზე ეჭვის მიტანა ან ეპიდაფეთქება); • აივინფექცია/შიდსის ტუბერკულოზის ინტეგრირებული სკრინინგის დაგეგმვა, ხელსეწყობა და განხორციელება. • ჯანმრთელობისათვის საზიანო რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირების, ავადობის გრძელ და მოკლე ვადიანი პროგნოზირების მიზნით მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება დკსჯდ ეროვნულ ცენტრის მონაწილეობით მოსახლეობისათვის და ადგილობრივი თვითმმართველობისთვის. • ჯანსაღი ცხოვრების წესის და უნარების დამკვიდრების, მავნე ჩვევათა კორექციის და მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით საინფორმაციო საშუალებებით და სპეციფიკური ღონისძიებებით საკომუნიკაციო კამპანიების, სოციალური მობილიზაციის ორგანიზება და წარმართვა; • ჯანმრთელობისათვის საზიანო რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობა;

	• გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; • ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორებზე მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, გადაწყვეტილებათა და დასახულ ქმედებათა კოორდინაცია პროფილურ ცენტრალურ სტრუქტურებთან; • პროფესიული ადამიანური რესურსების განვითარება, მოტივირება და შენარჩუნება, ზრუნვა პროფესიული რეზერვის შექმნაზე; • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მალარიის გადამტანი ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენა. პრევენციული ღონისძიებების გატარება.გამრავლების ადგილების პასპორტიზაცია. პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა. პარაზიტული დაავადებების დიაგნოსტიკა, რეკომენდაციების მიცემა. გამრავლების ადგილების პასპორტიზაცია,

პროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილსაიმედო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ფონის შექმნა
პროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-3 მიზანი
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: უზრუნველყოფილია მოსახლეობისთვის ჯანსაღი გარემო შექმნა. ავადობის პრევენცია, მართვადი ინფექციების გავრცელების შეზღუდვა/პრევენცია, ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასახელება	სამედიცინო დახმარების ხარჯები
პროგრამული კოდი	06 02 01
ფუნქციონალური კოდი	71011
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოქალაქეებს, რომელთა სარეიტინგო ქულა 0-დან 65 000-მდეა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები, წარმოადგენენ მერის წარმომადგენლის შამდგომლობას ან სოციალური მუშაკის დასკვნას, ნაწილობრივ ან სრულად აუნაზღაურდებათ სამედიცინო მომსახურების (კვლევა, ოპერაცია, მკურნალობა, ქიმიოთერაპია) ხარჯები. ასანაზღაურებელი თანხის რაოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით დამტკიცებული ,,სოციალური დახმარების გაცემის წესის" შესაბამისად. თანხა ჩაირიცხება მომსახურების მომწოდებელი სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე. ონკოლოგიური პაციენტები თავისუფლდებიან სარეიტინგო ქულისა და მერის წარმომადგენლის შუამდგომლობის წარმოდგენისაგან.
ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების თანადგომა და მათზე ზრუნვა, მკურნალობის ხარჯების თანადაფინანსება. დაავადებათა გართულების პრევენცია. სამედიცინო მომსახურებაზე ბენეფიციართა ხელმისაწვდომობა.
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	1, მე-3 მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: გაზრდილია სამედიცინო მომსახურებაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის მაჩენებელი.

ქვეპროგრამის დასახელება	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები
პროგრამული კოდი	06 02 02
ფუნქციონალური კოდი	7109
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები, ომის მონაწილე ვეტერანების გარდაცვალების შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, მათ ოჯახებს გაეწევათ ერთჯერადი ფინასური დახმარება 250 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამა ხორციელდება დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში
ქვეპროგრამის მიზანი	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯების თანადაფინანსება.
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	პირველი მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: უზრუნველყოფილია ვეტერანთა ოჯახების მხარდჭერა

ქვეპროგრამის დასახელება	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარების ხარჯები
პროგრამული კოდი	06 02 03
ფუნქციონალური კოდი	7109
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	საქართველოს ტერტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახის წევრები (მშობელი, მეუღლე ან შვილი), რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ბაღდათის მუნიციპალიტეტში, წელიწადში ერთჯერადად მიიღებენ ფულად დახმარებას 500 ლარის ოდენობით (8 აგვისტოს ან 27 სექტემბრის თარიღებთან დაკავშირებით).
ქვეპროგრამის მიზანი	საქართველოს ტერტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრების ოჯახების სოციალური დახმარება, მხარდაჭერა და თანადგომა.
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	პირველი, მეორე მიზანი

ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: საქართველოს ტერტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მეომრების ოჯახები უზრუნველყოფილნი არაიან ერთჯერადი დახმარებით.

ქვეპროგრამის დასახელება	უფასო სასადილოების დაფინანსება
პროგრამული კოდი	06 02 04
ფუნქციონალური კოდი	7109
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები, უმწეო და სოციალურად შეჭირვებული მოქალაქეები ყოველდღიურად მიიღებენ უფასო სადილს. ბენეფიციარი შეირჩევა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ,,სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისიის" მიერ.
ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების სასიცოცხლოდ აუცილებელი საკვებით უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მე- 2 მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: უზრუნველყოფილია ბენეფიციართა კვებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის დასახელება	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა
პროგრამული კოდი	06 02 05
ფუნქციონალური კოდი	7104
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა	ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული მოქალაქეები, რომელთაც 2025- 2026 წლებში შეეძინათ მეორე ან შემდეგი შვილი, საჩუქრად მიეცემათ: მეორე შვილის შეძენის შემთხვევაში 200 ლარი, მესამე შვილის შეძენისას 300 ლარი, მეოთხე და შემდეგი შვილის შეძენისას 600 ლარი, ტყუპების შეძენისას 1000 ლარი.
ქვეპროგრამის მიზანი	ბავშვიანი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	1, მე- 2,3 მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: უზრუნველყოფილია მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასახელება	მხედველობის დარღვევის მქონე შშმ პირების ფინანსური დახმარება.
პროგრამული კოდი	06 02 06
ფუნქციონალური კოდი	7104
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერადი ფინანსური დახმარებით 200 ლარისოდენობით, ისარგებლებენ ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული მკვეთრი შეზღუდვის მქონე შშმ პირები, რომელთაც აღენიშნებათ მხედველობის დარღვევა.
ქვეპროგრამის მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია შშმ პირების ჯანმრთელობაზე ზრუნვა.
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	1, მე- 2,3 მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: უზრუნველყოფილია შშმ პირების მატერიალური მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასახელება	თანადგომის საჭიროების მქონე ოჯახთა დახმარება
პროგრამული კოდი	06 02 07
ფუნქციონალური კოდი	7109
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები, რომლებიც იმყოფებიან ეკონომიკურ სიდუხჭირეში და/ან მოულოდნელ კრიზისულ ვითარებაში, მიიღებენ ერთჯერად ფინანსურ დამარებას არაუმეტეს 300 ლარის ფარგლებში. დახმარების მისაღებად, ოჯახმა, ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან უნდა დააკმაყოფილოს ერთ-ერთი მაინც: ა) ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს. ბ) ოჯახში არის ონკოლოგიური, გადაადგილებაშეზღუდული, ფსიქიკური აშლილობის ან სხვა მძიმე დაავადების მქონე პირი. გ)ოჯახში არის მარტოხელა მოხუცი, შშმ პირი ან ორი და მეტი 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირი. დ)ოჯახმა დაკარგა მარჩენალი. ე) ოჯახის შემოსავალი საარსებო მინიმუმზე ნაკლებია. ვ) ოჯახში არის ძალადობის მსხვერპლი (აღნიშნული პირის მომართვის შემთხვევაში). გასაცემი თანხის ოდენობას განსაზღვრავს ,,სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია".
ქვეპროგრამის მიზანი	კრიზისულ ვითარებაში მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარება. კრიზისული მდგომარეობის შემსუბუქება.
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	1, მე- 2, 3 მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: კრიზისული მდგომარეობის ოჯახებისა დახმარება.

ქვეპროგრამის დასახელება	ვეტერანთა დახმარება
პროგრამული კოდი	06 02 08
ფუნქციონალური კოდი	7109
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამით წელიწადში ერჯერადად ისარგებლებენ ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული:. კერძოდ: მეორე მსოფლიო ომში დაღუპულის ოჯახის წევრები (ვეტერანის კოდი - 500.) თითოეული - 200 ლარის ოდენობით, 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანები (ვეტერანის კოდი - 311; 312; 313.) თითოეული 200 ლარის ოდენობით, 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების მონაწილე ვეტერანები, (ვეტერანის კოდი - 300; 800.) თითოეული 100 ლარის ოდენობით; სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების მონაწილე ვეტერანები (ვეტერანის კოდი - 200; 211; 212; 213.), თითოეული 100 ლარის ოდენობით.
ქვეპროგრამის მიზანი	ვეტერანებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა. მათი თანადგომა.
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	1, მე- 2, 3 მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: უზრუნველყოფილია ვეტერანთა თანადგომა.

ქვეპროგრამის დასახელება	შშმ პირთა დახმარება
პროგრამული კოდი	06 02 09
ფუნქციონალური კოდი	71012
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამით ისარგებლებენ ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული შშმ პირები: 18 წლამდე ასაკის შშმ პირებს გაეწევათ ერთჯერადი ფინანსური დახმარება 150 ლარის ოდენობით; შშმ პირებს თანადაფინანსება გაეწევათ მათთვის საჭირო სპეციალური მოწყობლების შეძენისას. აგრეთვე, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შშმ პირთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებები და დახმარება გაეწევათ შშმ პირებს საზღვარგარეთ ჩასატერებელი მკურნალობის თანადაფინანსებაში. ეტლით მოსარგებლე შშმ პირთათვის გათვალისწინებულია ჰიგიენური საშუალებების შეძენა (პამპერსი, სველი ხელსახოცი და სხვა).მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის შშმ ბავშვები და მკვეთრად გამოხატული სტატუსის მქონე შშმ პირები, რომელთაც დოკუმენტაციით უდასტურდებათ კურორტული

	სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურეობის მიღების საჭიროება, ისარგებლებენ ვაუჩერით არაუმეტეს 400 ლარის ოდენობით. შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით სხვადასხვა აქტივობების განხორციელება.უსინათლო შშმ პირების ერთჯერადი ფინანსური დახმარება 150 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის მიზანია შშმ პირების ჯანმრთელობაზე ზრუნვა, მათი ცნობიერების ამაღლება და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.
ქვეპროგრამის მიზანი	შშმ პირების ჯანმრთელობაზე ზრუნვა, მათი ცნობიერების ამაღლება და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	1, მე- 2,3 ,5,10 მიზანები
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: გაზრდილია შშმ პირების ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის და სოციალური დაცვის საჭიროებებზე

ქვეპროგრამის დასახელება	ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აღდგენითი სამუშაოების მონაწილეთა დახმარება
პროგრამული კოდი	06 02 10
ფუნქციონალური კოდი	7109
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული ჩერნობილის ატომური ელექტრისადგურის აღდგენით სამუშაობზე მონაწილე პირები, ერთჯერადად, დახმარების სახით მიიღებენ 200 ლარს.
ქვეპროგრამის მიზანი	ჩერნობილის ატომური ელექტრისადგურის აღდგენით სამუშაობზე მონაწილე პირებისა და მათი ოჯახების მხარდაჭერა და თანადგომა
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	1, მე-2, 3 მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: უზრუნველყოფილია ჩერნობილის ატომური ელექტრისადგურის აღდგენით სამუშაობზე მონაწილე პირებისა და მათი ოჯახების მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის დასახელება	დღეგრძელ (100 და მეტი წლის ასაკის) მოქალაქეთა დახმარება
პროგრამული კოდი	06 02 11
ფუნქციონალური კოდი	7102
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 წლის და მეტი ასაკის მქონე პირებს წელიწადში ერთჯერადად გაეწევათ დახმარება 1000 ლარის ოდენობით.
ქვეპროგრამის მიზანი	ხანდაზმულებზე ზრუნვისა და თანდგომის გამოხატვა
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	1, მე-2, 3 მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: ხანდაზმულ მოქალაქეთათვის გაწეულია ფინანსური მხადაჭერა

ქვეპროგრამის დასახელება	დიალეზით მოსარგებლე მოქალაქეთა დახმარება
პროგრამული კოდი	06 02 12
ფუნქციონალური კოდი	7109
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში, ბაღდათის მუნიციპალიტეტში რაგისტრირებული, ამავდროულად მცხოვრები ან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პაციენტები ტრანსპორტირების ხარჯების უზრუნველსაყოფად ყოფელთვიურად მიიღებენ ფულად დახმარებას 300 ლარის ოდენობით.
ქვეპროგრამის მიზანი	დიალიზით მოსარგებლე ბენეფიციართა სატრანსპორტო ხარჯების უზრუნველყოფა. მათი ჯანმრთელობის სტაბილურობს ხელშეწყობა.
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	1, მე- 3 მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: ფინანსური მხარდაჭერის გზით უზრუნველყოფილია დიალიზით მოსარგებლე ბენეფიციართა წვდომა ჯანდაცვის პროგრამებზე

ქვეპროგრამის დასახელება	18 წლამდე ასაკის ობოლი ბავშვიანი ოჯახების და მარტოხელა მშობლების დახმარება
პროგრამული კოდი	06 02 13
ფუნქციონალური კოდი	7104
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამით ისარგებლებენ ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული 0-დან 18 წლამდე ასაკის ობოლი ბავშვები (და რომელთაც 2026 წელს უსრულდებათ 18 წელი) და მარტოხელა მშობლები. დახმარება გაიცემა წელიწადში ერთჯერადად, თითოეულ ბავშვზე - 300 ლარის ოდენობით.
ქვეპროგრამის მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ობოლი ბავშვების და მარტოხელა მშობლები მხარდაჭერისა და თანადგომის გამოხატვა.
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	1, მე-2, 3 მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: 18 წლამდე ობოლი ბავშვების ოჯახები და მარტოხელა მშობლები მატერიალურად მხარდაჭერილია

ქვეპროგრამის დასახელება	სასკოლო ასაკის ბაღის აღსაზრელთა პროფილაქტიკური გამოკვლევა.
პროგრამული კოდი	06 02 14
ფუნქციონალური კოდი	7104
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღის სასკოლო ასაკის აღსაზრდელების პროფილაქტიკურ გამოკვლევას, თვალის პათოლოგიისა და სქოლიოზის დროული გამოვლენისა და მათთან დაკავშირებული სხვა დაავადებების აღმოცენების პრევენციის მიზნით.
ქვეპროგრამის მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია : სასკოლო ასაკის მოზარდებში შესაძლო პათოლოგიების დროული გამოვლენა.

ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	1, მე-2, 3 მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: გამოვნილია ბავშვებში ადრეულ ეტაპზე პათოლოგიები.

ქვეპროგრამის დასახელება	მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება
პროგრამული კოდი	06 02 15
ფუნქციონალური კოდი	7104
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	ბაღდათის მუნიციციპალიტეტში რეგისტრირებული ან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც ჰყავთ ოთხი და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი, მიიღებენ ერთჯერად ფულად დახმარებას თითოეულ ბავშვზე 100 ლარის ოდენობით.
ქვეპროგრამის მიზანი	მხარდაჭერისა და თანადგომის გამოხატვა
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	1, მე-2, 3 მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური დახმარება მხარდაჭერილია

ქვეპროგრამის დასახელება	უჭირისუფლო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები
პროგრამული კოდი	06 02 16
ფუნქციონალური კოდი	7109
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	უჭირისუფლო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების დაფინანსების მიზნით, გაიცემა ფულადი დახმარება 400 ლარის ოდენობით. სარიტუალო მომსახურებისათვის თანხის გაცემა მოხდება მერის წარმომადგენლის მომართვისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე

ქვეპროგრამის მიზანი	უჭირისუფლო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების უზრუნველყოფა
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	პირველი მიზანი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეებისთვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებულია მონაწილეობა.

ქვეპროგრამის დასახელება	მედიკამენტების დაფინანსება
პროგრამული კოდი	06 02 17
ფუნქციონალური კოდი	71011
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებულ მოქალაქეებს,დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირები რომელთა სარეიტინგო ქულა 0-დან 100 000 -მდეა ან წარმოადგენენ მერის წარმომადგენლის შუამდგომლობას გაეწევათ ფინანსური დახმარება მედიკამენტების შესაძენად. დაფინანსება შეეხება შემდეგი დაავადებების მქონე პაციენტებს: ონკოლოგიური და ონკოჰემატოლოგიური, თირკმლის უკმარისობა,ინსულტის შემდგომი პერიოდი, შაქრიანი დიაბეტი, პარკინსონის დაავადება, ეპილეფსია, ბრონქული ასთმა, ქრონიკული ობსტრუქციული ბრონქიტი, მიასთენია, ფენილკეტონურია და ცელიაკია, ცერებრალური დამბლა, ფსორიაზი, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, პნევმონია, წითელი მგლურა, გლაუკომა, კატარაქტა, კერატიტი, კერატონუსი, ტრამვის შედეგად მიყენებული ზიანის შემდგომი მკურნალობა, ოჯახური ხმელთშუაზღვის ცხელება, წითელი ქარი,სეფსისი, პრეიტონიტი, ანემია, ფარისებრი ჯირკვლის დაავადება, გაფანტული სკლეროზი,კოვიდის შემდგომი გართულება,ღვიძლის დაავადება (ციროზი),პრადერ-ვილის სინდრომი,ჰიდროცეფალია სოციალურად დაუცველი 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები მედიკამენტების თანხით დაფინანსდებიან მიუხედავად დიაგნოზისა. ფენილკეტონურიითა და ცელიაკიით დაავადებული პაციენტებისთვის სამკურნალო კვების უზრუნველსაყოფად დახმარება გაიცემა ერთჯერადად საბიუჯეტო წლის განმავლობაში 2000 ლარის ოდენობით; პრადე-ვილის სინდრომით დაავადებული პაციენტები და სოციალური მუშაკის შუამდგომლობის მქონე 18 წლამდე მოზარდები დაფინანსდებიან სრულად, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა წლის განმავლობაში. ონკოლოგიური პაციენტები მედიკამენტების დაფინანსებით ისარგებლებენ წელიწადში ორჯერ, არანაკლებ ერთთვიანი ინტერვალისა, თითოეული მომართვისას 150 ლარის ოდენობით ხოლო სხვა ზემოთჩამოთვლილი დაავადების მქონე პაციენტები დაფინანსდებიან 100 ლარით, წელიწადში ერთჯერადად. ონკოლოგიური სენით, ფენილკეტონურიითა და ცელიაკიით დაავადებული პაციენტები თავისუფლდებიან სარეიტინგო ქულისა და მერის წარმომადგენლის შუამდგომლობის წარმოდგენისაგან.

ქვეპროგრამის მიზანი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებისათვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	1, მე- 3 მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: ბენეფიციარებისათვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებულია.

ქვეპროგრამის დასახელება	აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა დიაგნოსტირების და რეაბილიტაციის პროგრამა
პროგრამული კოდი	06 02 18
ფუნქციონალური კოდი	71012
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	აღნიშნული პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული 2-15 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებსაც კვალიფიციური სპეციალისტის მიერ განესაზღვრათ აუტიზმის სპექტრის დიაგნოსტიკის, განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების შეფასებისა და/ან აბილიტაციის საჭიროება. პროგრამა მოიცავს ერთი მხრივ, საჭიროების მქონე ბავშვების დიაგნოსტირებას, მათი განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების დონის შეფასებას და მეორე მხრივ, შესაბამისი მომსახურების თანადაფინანსებას. თითოეული ბენეფიციარისათვის მომსახურების დაფინანსება განისაზღვრება: ა) დიაგნოსტირების მიზნით - არაუმეტეს 250 ლარის ოდენობით (ერთჯერადად); ბ) განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების შეფასების მიზნით - 150 ლარის ოდენობით (6 თვეში ერთხელ); გ) აუტიზმის სპექტრის მქონე მოზარდების ქცევითი თერაპიის სეანსების დაფინანსება - წლის განმავლობაში 2000 ლარის ოდენობით .
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები აუტიზმის სპექტრის დიაგნოსტირების, შეფასებისა და ქცევითი თერაპიის საჭიროების მქონე 2-15 წლამდე მოზარდების იდენტიფიცირება; მათი სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესება ადრეული დიაგნოსტიკისა და რეაბილიტაციის პროცესის მხარდაჭერა.
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	1, მე- 3 მიზანი

ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება,ადაპტაცია და ოჯახების მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასახელება	პერსონალური ასისტენტის მომსახურება
პროგრამული კოდი	06 02 19
ფუნქციონალური კოდი	7109
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამით ისარგებლებენ ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, ამავდროულად ფაქტობრივად მცხოვრები ან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული 18 წელზე უფროსი შშმ პირები, რომელთაც სამინისტროს მიერ უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით განხორციელებული შეფასების საფუძველზე განესაზღვრათ პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროება და ასისტირების ტიპი.
ქვეპროგრამის მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია, პერსონალური ასისტირების საშუალებით შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა.
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	1, მე-2, 3 მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: უზრუნველყოფილია შშმ პირთა მხარდაჭერა

ქვეპროგრამის დასახელება	საცხოვრებლით უზრუნველყოფა
პროგრამული კოდი	06 02 20

ფუნქციონალური კოდი	7106
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული, ძალადობის მსხვერპლი პირები და მოქალაქეები, რომელთაც სტიქიური მოვლენების ან სხვა ობიექტური გარემოებების შედეგად დაუზიანდათ ან დაკარგეს საცხოვრისი, უზუნველყოფილნი იქნებიან დროებითი საცხოვრებლის ქირით ან/და დაზიანებული სახლების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისა და მასალის დაფინანსებით.შესაძლებელია შეძენილი იქნეს საცხოვრებელი.. გასაცემი თანხის ზუსტი ოდენობა განისაზღვრება ,,მოქალაქეთა კერძო საკუთრებაზე სხვადასხვა ობიექტური გარემოების შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისიის" მიერ. ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეების დროებითი საცხოვრებლის ქირით უზრუნველყოფა ან/და დაზიანებული სახლების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების და მასალების დაფინანსება.
ქვეპროგრამის მიზანი	უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეების თანადგომა და დახმარება
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	1, მე- 3 მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილია მოსახლეობა,ასევე დაფინანსებულია დაზიანებული სახლების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები და მასალები. მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობილია.

ქვეპროგრამის დასახელება	ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯის თანადაფინანსება
პროგრამული კოდი	06 02 21
ფუნქციონალური კოდი	7106
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების ან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირების კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე/ბინაზე ხანძრის შედეგად გამოწვეული ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით, ბენეფიციარს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება არაუმეტეს 3000 ლარისა. გასაცემი თანხის ზუსტი ოდენობა განისაზღვრება ,,მოქალაქეთა კერძო საკუთრებაზე სხვადასხვა ობიექტური გარემოების შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისიის" მიერ.
ქვეპროგრამის მიზანი	ხანძრისგან დაზარალებული ოჯახების დახმარება. უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეების დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	1, მე- 3 მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: უზრუნველყოფილია დაზარალებული ოჯახების მატერიალური დახმარება.

ქვეპროგრამის დასახელება	ბავშვიანი ოჯახების გაძლიერება
პროგრამული კოდი	06 02 22
ფუნქციონალური კოდი	7106
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამით ისარგებლებენ ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც იმყოფებიან კრიზისულ ვითარებაში და/ან საჭიროებენ დახმარებას. პროგრამაში ოჯახის ჩართვა შეიძლება განხორციელდეს მოქალაქის, მერის წარმომადგენლის, სოციალური მუშაკის ან სხვა უწყების მომართვის საფუძველზე. ოჯახის შეფასებას და საჭიროებების დადგენას უზრუნველყოფს ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი. სოციალური მუშაკის შეფასება და დასკვნა/რეკომენდაცია განიხილება მერიის სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისიის მიერ და მიიღება გადაწყვეტილება ბავშვიანი ოჯახისათვის საჭირო დახმარების თაობაზე. აღნიშნული ქვეპროგრამიდან თითოეულ ოჯახზე გასაცემი თანხის ოდენობა არ აღემატება 3000 ლარს. გასაცემი თანხის ზუსტ ოდენობას განსაზღვრავს ,,სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია“.
ქვეპროგრამის მიზანი	ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების ხელშეწყობა.
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	1,2 მე- 3,4,10 მიზანი
ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1:უზრუნველყოფილია ბავშვებისათვის უკეთესი საცხოვრებელი პირობები.

პროგრამის დასახელება	ქალის და მამაკაცის თანასწორობის ხელშწყობა
პროგრამული კოდი	06 03
ფუნქციონალური კოდი	7106
პროგრამის განმახორციელებელი	ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია.ქალის და მამაკაცის თანასწორობის საბჭო
პროგრამის აღწერა	ქალის და მამაკაცის თანასწორობისა და ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო“-ს, პროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა სენსიტიური ჯგუფის - ძალადობის მსხვერპლი და/ან რისკ-ჯგუფის ქალების, მარტოხელა და/ან ქვრივი მშობლების (როგორც ქალის ისე კაცის), განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ახალგაზრდების, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების, შშმ პირების,მარტოხელა და ზრუნვის პოლიტიკის საჭიროების მქონე ხანდაზმულების, პირების საჭიროებების შესწავლა და ამ საჭიროებებზე მორგებული საბიუჯეტო წინადადებების შემუშავება და დანერგვა.პროგრამა ითვალისწინებს ქალისა და მამკაცის თანასწორობისა და ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებზე ცნობიერების ჩამოყალიბებას ინფორმირებას მოქმედ კანონმდებლობაზე, ძალადობის წინააღმდეგ არსებულ მექანიზმებზე, სოციალური პარტნიორობის სისტემაზე.იმის გათვალისწინებით, რომ ხელმძღვანელი სტრუქტურების მხრიდან მკაცრდება მოთხოვნები თანასწორობის პოლიტიკაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ,სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საჭიროებების შესწავლა და ყველა, ამ კუთხით სენსიტიური ჯგუფის ინტერესების გათვალისწინება საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე: დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების. სადღეისოდ უწყებათაშორისი კომისია მუშაობს ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის პლატფორმაზე,რასაც საპასუხო ნაბიჯები უნდა მოყვეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხრიდან. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს ქალთა და მამაკაცთა თანაბარ წარმოჩენას,უფლებასმოსილებას, პასუხისმგებლობასა და თანასწორ მონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფას,დისკრიმინაციის აღმოფხვრას.
პროგრამის მიზანი	ქალის და მამკაცის თანასწორობის შესახებ ცნობირების ამაღლება.
პროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	1, მე- 5 მიზანი
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: მიზნობრივი სეგმენტი ინფორმირებულია ქალის და მამკაცის თანასწორობის შესახებ ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე მიმართული ინიციატივების გამოვლენა. საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ქალთა აქტიური ჩართულობისა და გაძლიერების ხელშეწყობა.

7. პრიორიტეტი-ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 07 00)

პრიორიტეტის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების ხელშეწყობა, ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირება და პოპულარიზაცია, მუნიციპალიტეტის როგორც ტურისტული, ისე საინვესტიციო თვალსაზრისით მიმზიდველობის ზრდისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება, მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ძირითადი სფეროების, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამული კოდი	პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	2027 წლის გეგმა			2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
		სულ	მ.შ. საკუთარი სახსრები	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები			
07 00	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	25,0	25,0	0,0	25.0	25.0	25.0
07 01	სოფლის მეურნეობის მხრდაჭერა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
07 02	ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა	25,0	25.0	0,0	25.0	25.0	25.0

პროგრამის დასახელება	სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა
პროგრამული კოდი	07 01
ფუნქციონალური კოდი	747
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური.ეკონომიკის სამსახური
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს იმ ღონისძიებების გატარებას, რომლებიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარებას და დაეხმარება აგრო ტურიზმში ჩართულ ბიზნესს, სოფლის მეურნეობის დარგში მოქმედ მეწარმეებს შორის თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობას, ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზებას/თანაორგანიზებას.
პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მასშტაბით სოფლის მეურნეობის განვითარება და აგროტურიზმის ხელშეწყობა.
პროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-2,8,9, მიზანი

პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: .სოფლის მეურნეობაში ჩართული ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.აგროტურიზმის განვითარება

პროგრამის დასახელება	ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა
პროგრამული კოდი	07 02
ფუნქციონალური კოდი	747
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური.ეკონომიკის სამსახური
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს იმ ღონისძიებების გატარებას, რომლებიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებას, მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, განვითარებაში დაეხმარება ტურიზმში ჩართულ ბიზნესს.
პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებას.
პროგრამის განხორციელების ვადები	მუდმივი
გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-8,9,11 მიზანი
პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შედეგი 1: გაუმჯობესებული ტურისტული ინფრასტრუქტურა შექმნილია ახალი ტურისტული ინფტასტრუქტურა. ჩატარებულია ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებები. გაზრდილია შიდა ვიზიტორების რაოდენობა გაზრდილია საერთაშორიო ვიზიტორების რაოდენობა